



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# საქართველო-იაპონია: ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები

ვლადიმერ პაპავა, ვასტანგ ჭარაია

თბილისი, 2022



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

**საქართველო-იაკონია:  
ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები**

**ვლადიმერ პაკაჰა, ვახტანგ ჭარაია**

**2022**

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
თბილისი, 2022 წელი

ISBN 978-9941-8-4253-5

## შესავალი

საქართველოსა და იაპონიის შორის ურთიერთობები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში დინამიკურად ვითარდება. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, კულტურის, საგანმანათლებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტურიზმის სფეროებში. რეგულარულად ტარდება მაღალი დონის ვიზიტები, ბიზნესფორუმები და კულტურული ღონისძიებები. იაპონურ-ქართული თანამშრომლობა კიდევ ერთხელ გაძლიერდა COVID-19-ის პანდემიის დროს, რომელმაც საქართველოსაც და მთელ მსოფლიოსაც უზარმაზარი სირთულეები მოუტანა (მაგალითად, Papava and Charaia, 2020), თუმცა ხელი არ შეუშლია იაპონიისთვის დახმარებოდა საქართველოს.

იაპონია მსოფლიოს ნომერ მესამე ეკონომიკისა (WPR, 2020) და ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყანაა (Schwab ed., 2019), რომელიც საქართველოს ტერიტორიით დაახლოებით 5,5-ჯერ, ხოლო მოსახლეობით დაახლოებით 33-ჯერ აღემატება. იაპონიის მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) მოსახლეობის ერთ სულზე (GDP per capita) 2021 წლისთვის დაახლოებით 7-ჯერ აღემატებოდა საქართველოსას.

სამწუხაროდ, იაპონია სახელმწიფო ვალის თანაფარდობით GDP-სთან მსოფლიოს ლიდერია, რადგანაც ეს თანაფარდობა 256%-ზე მეტია (Jacobs, 2022).

აღსანიშნავია, რომ იაპონია ერთ-ერთი გამონაკლისია, სადაც განსხვავებით დანარჩენი მსოფლიოსგან, პანდემიურ 2020-2021 წლებში არათუ მაღალი ინფლაცია, არამედ დეფლაცია დაფიქსირდა (შესაბამისად, -0,03 და -0,17) (Statista. n.d.), რომლის მიზეზი შესაძლოა იყოს მის ტრადიციულად ზომბირებულ ეკონომიკაში (მაგალითად, Hoshi 2006; Kane 2000), რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მიწოდება არ მცირდებოდეს, რასაც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დროს ინფლაციის შესაკავებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (Papava, 2022). საყურადღებოა, რომ ამ კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირების პროცესს, სამწუხაროდ, კვლავ აქვს სახელმწიფოს ხელშეწყობა (Papava 2020, 2021; Stiglitz 2020; Zingales, 2021).

გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე იცვლება იაპონიის გლობალური ხედვებიც, მათ შორის – მისი ეკონომიკის დივერსიფიცირების არეალიც. პროგრესი განსაკუთრებით თვალნათელია – დღეისთვის იაპონიის მთავარ საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს: ავტომობილები და ავტონაწილები, ინტეგრირებული სქემები, პირადი ელექტროტექნიკა და გემები. ხოლო მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია აშშ, ჩინეთი და სამხრეთი კორეა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში იაპონური კომპანიები რისკების გადანაწილების მიზნით ნაწილობრივ ტოვებენ იმ ქვეყნებს, სადაც დიდი მოცულობით ინვესტიციები ჰქონდათ გაკეთებული და შედარებით ახალ ბაზრებზე

ახდენენ კონცენტრირებას. ამის მაგალითია იაპონელების ნაწილობრივი გამოსვლა ჩინეთის ბაზრიდან და უფრო მეტად გააქტიურება ევროპის მიმართულებით, მათ შორის, საქართველოშიც.

## ინვესტიციები

ინვესტიციების ლიბერალიზების, წახალისებისა და დაცვის მიზნით ორმხრივ ხელშეკრულებას (UNCTAD, 2021) იაპონიამ და საქართველომ 2021 წლის 29 იანვარს მოაწერეს ხელი (ძალაში შევიდა იმავე წლის 23 ივლისს). ამ ხელშეკრულებაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2017 წელს დაიწყო და სრულად ამოქმედდება ორივე ქვეყნის მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ. ცნობისთვის, ორივე ქვეყნისთვის ეს იყო პირველი ასეთი ხელშეკრულება, რომელსაც COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდგომ მოაწერეს ხელი (Harris, 2021).

ამ ეტაპზე საქართველოში იაპონური კაპიტალის მონაწილეობით 26 კომპანია საქმიანობს, რომელთა დაინტერესების მთავარ სექტორს ენერგეტიკა წარმოადგენს (MoESDoG, 2021).


2021 წელსვე მოეწერა ხელი „საქართველოსა და იაპონიას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ კონვენციას, რომელიც კიდევ უფრო მეტად ამარტივებს ქართველი და იაპონელი ინვესტორებისთვის ეკონომიკურ საქმიანობას (MoFAoJ, 2021). ის უმთავრესად ხელს შეუწყობს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წახალისებას. ამ ეტაპზე საქართველოს მსგავსი ხელშეკრულება მსოფლიოს 57 ქვეყანასთან აქვს ხელმოწერილი (Agenda, 2021).

იაპონელი ინვესტორების მთავარ დაინტერესებას საქართველოში ენერგეტიკა, ტრანსპორტი და უძრავი ქონება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში კომპანია TEPCO-ს მსგავსად, რომელმაც უკვე განახორციელა საქართველოში თავისი პირველი ინვესტიცია, ქვეყანას აქტიურად სწავლობენ ისეთი ცნობილი იაპონური კომპანიების წარმომადგენლებიც, როგორებიცაა: Mitsubishi Motors, Toshiba, Hitachi და სხვ. უშუალოდ TEPCO-მ კი ინვესტიციამდე 3-წლიანი დაკვირვება აწარმოვა საქართველოში და 2020 წლის გაზაფხულზე დარიალის ჰესის აქციების 31,4% შეისყიდა (EG, 2020). ეს პროექტი სულ \$123 მლნ დაჯდა (Agenda, 2020).

1997 წლიდან 2021 წლის მესამე კვარტლის (უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემი) ჩათვლით, იაპონელებმა, ჯამში, დაახლოებით \$210 მლნ შემოიტანეს საქართველოში, მაქსიმალური წლიური ინვესტიციით 2019 წელს - \$39,5 მლნ (დიაგრამა 1). იაპონური პირდაპირი ინვესტიციების წილი საქართველოში განხორციელებულ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში ცალკეული წლების მიხედვით 3%-საც კი აღწევდა, თუმცა საქართველოს მიერ მოზიდული ჯამური ინვესტიციების (თითქმის \$23 მლრდ) დაახლოებით 0,9%-ს შეადგენს, რითაც ის საქართველოში წამყვანი ინვესტორების საუკეთესო 30-ეულში ხვდება. 2009, 2014 და 2015 წლებში კი

დაფიქსირდა იაპონელი ინვესტორების მიერ ადრე შემოტანილი დიდი ოდენობით ინვესტიციების გატანა/გასხვისება.

**ღიახამა 1. იაპონური უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში**



წყარო: საქსტატი, [https://geostat.ge/media/42108/FDI\\_Eng-countries.xlsx](https://geostat.ge/media/42108/FDI_Eng-countries.xlsx).

\* 2021 წლის I, II და III კვარტლის მონაცემები.

იაპონური (და არამხოლოდ) ინვესტორების მოსაზიდად აქტიურადაა ჩართული სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის ქოლგის ქვეშ ინვესტორების წახალისების მრავალი მექანიზმია, იქნება ეს ფინანსური, საკადრო, საინფორმაციო თუ სხვა.

**ფინანსური და ტექნიკური დახმარება**

საქართველოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად (მაგალითად, Charaia and Papava 2021) და აგრეთვე ინფრასტრუქტურის განსავითარებლად მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის და სხვათა გვერდით (მაგალითად, Papava and Charaia, 2021) აქტიურადაა წარმოდგენილი იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოც - JICA (Japan International Cooperation Agency), როგორც საგრანტო, ასევე სასესხო პროექტების ფარგლებში (MoESDoG, 2019).

JICA საქართველოში 1995 წლიდანაა წარმოდგენილი და მონაწილეობა მიიღო მსხვილ საინვესტიციო პროექტებში: ენერგეტიკის, ჯანდაცვის, მზის ენერჯის გამომუშავების და გარემოს მიმართულებებით. ის აქტიურად ეხმარება

საქართველოს იაპონელი ექსპერტების საქართველოში ჩამოყვანითა და ქართველი სპეციალისტების იაპონიაში გადამზადების მხრივაც. JICA-ს მეშვეობით იაპონია აქტიურადაა ჩართული საქართველოს მსხვილი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის პროექტებში (JICA, 2021).

პარტნიორობის დაწყებიდანვე იაპონია საქართველოს ეხმარებოდა როგორც საგრანტო, ასევე სასესხო პროგრამებით. 2022 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს მთავრობას იაპონიის \$185,5 მლნ ვალი მართებს, რაც, შესაბამისი კურსით, დაახლოებით 21,5 მლრდ იაპონურ იენს ან/და 566 მლნ ლარს შეადგენდა (MoFoG, 2022).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იაპონიის არაფინანსური დახმარებაც, მათ შორის, კადრების მომზადება/გადამზადების ასპექტში. 2008 წელს იაპონიამ ომით დაზარალებული საქართველოსთვის დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე \$200 მლნ გამოყო, რომლის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის გზის რეაბილიტაციისთვის განაწილდა (EoJiG, 2022).

გარდა JICA-ს არხით მხარდაჭერისა, იაპონია თავისი საელჩოს მეშვეობით აქტიურია ისეთი მიმართულებებში, როგორცაა: სკოლებისა და ბაღების რეკონსტრუქცია; არაკომერციული ჰოსპიტლების აღჭურვა და სასწრაფო დახმარების მანქანების გადაცემა; მოხუცებულთა თავშესაფრების ჩამოყალიბება; მდინარის ნაპირების გამაგრება და გაბიონების მშენებლობა; გარემოს დაცვა და მრავალრიცხოვანი სხვ.

2015 წლის 10 მარტს თბილისში ხელი მოეწერა „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 500 მილიონი იაპონური იენის (დაახლოებით 5 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის არასაპროექტო გრანტის შესახებ“ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობას გადმოეცა გრანტი ახალი თაობის (ჰიბრიდული და ელექტრო) ავტომობილების შესაძენად. ამ გრანტის საფუძველზე საქართველოს გადმოეცა Mitsubishi-ს მარკის, ჯამში, 96 ერთეული მსუბუქი ავტომობილი: Plug-in Hybrid ტიპის 45 ერთეული Mitsubishi Outlander-ი და ელექტრომობილი Mitsubishi I-Miev 51 ერთეულის ოდენობით (Agenda, 2018), რომლებიც დღეს საპატრულო პოლიციის საკუთრებაა და, ძირითადად, დედაქალაქის უსაფრთხოებას ემსახურება.

იაპონური მხარდაჭერის კიდევ ერთი მაგალითია განახლებადი მზის ენერჯის წარმოების სისტემის დანერგვა თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე, რისთვისაც სააგენტომ 480 მლნ იაპონური იენი გამოყო. პროექტი 2015 წლის ნოემბერში დაიწყო და, წელიწადში 337 000 კილოვატ/საათი წარმადობით, დღეისათვის ყველაზე დიდ მზის სადგურად ითვლება კავკასიაში (JICA, 2016).


მაღალი ხარისხის იაპონური პროდუქციით საქართველოს მომარაგებით იაპონია აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ჯანდაცვის სექტორთან (MoFAoJ, 2018).

## ვაჭრობა

საქართველოსა და იაპონიას შორის ვაჭრობა ე.წ. GSP-ის პრინციპით ხორციელდება, რაც იაპონიის მხრიდან საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, გარკვეული საიმპორტო შეღავათების დაწესებას გულისხმობს.

ოფიციალური სტატისტიკით, ქართულ-იაპონური სასაქონლო ვაჭრობა 1995 წლიდან დაიწყო, თუმცა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან 10-მილიონიან ზღვარს მხოლოდ 2006 წელს გადააბიჯა. უკანასკნელ წლებში კი შეინიშნება ქართული ექსპორტის უმნიშვნელო, სისტემატური ზრდა იაპონიის მიმართულებით (დიაგრამა 2).

### დიაგრამა 2. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა იაპონიასთან (\$ მლნ)



წყარო: საქსტატი. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/35/external-trade>

საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქტები იაპონური ბაზრისთვის არის ძვირფასი ლითონების ჯართი, ტანსაცმელი, ქიმიკატები, ღვინო, მინერალური წყალი, ხილი და სხვ. ხოლო ძირითადი საიმპორტო პროდუქტებია: მანქანები, საბურავები და მილები. საქართველოში ძირითადი იმპორტიორი იაპონური კომპანიებია: Toyota Tsusho, Conica Minolta, TEPCO და JT.

2021 წელს ქართული ექსპორტი იაპონიაში გაიზარდა 13%-ით და \$18,94 მლნ შეადგინა. ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე კი შეადგინა 16,62 მლნ, რაც 7%-იანი (2020 წელს იყო \$15.51 მლნ) ზრდაა. აქედან \$11,51 მლნ ძვირფასი ლითონების ჯართმა, \$3,32 მლნ დაუმუშავებელი ალუმინისა და თითქმის \$1 მლნ ღვინის გაყიდვებმა შეადგინა.

უმნიშვნელო დოზით ფიქსირდება საექსპორტო პოტენციალის მქონე ისეთი ქართული პროდუქციის ექსპორტი იაპონიაში, როგორცაა: კენკროვანი ხილი (კივი), ხილის ჩირი, სანელებლები, ხილ-ბოსტნეულის წვენები და კონსერვები, მინერალური



წყალი, ლუდი, ფქვილი, თევზი, ფეროსილიკომანგანუმი, დაუმუშავებელი ალუმინი. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიაში ქართული ღვინის პოპულარიზების არაერთი მცდელობის მიუხედავად, გაყიდვები ჯერჯერობით საკმაოდ მწირია და წლიურ წრილში \$1,2 მლნ არასდროს გადასცილებია.

ამასთან, იაპონიაში განხორციელებული მსოფლიო იმპორტის მიმოხილვის შედეგად, გამოიკვეთა ის პროდუქცია, რომლის მიწოდების შესაძლებლობაც აქვს საქართველოს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან: ყველი და ხაჭო, თაფლი, თხილი და კაკალი, შოკოლადის ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის იანვარში პირველად, სატესტო მოცულობით, დაფიქსირდა იაპონიაში შოკოლადის, ჯემების და სპირტიანი სასმელები ექსპორტი. სამრეწველო პროდუქციიდან კი აღსანიშნავია მანგანუმის მადანი, ტექსტილის ნაწარმი და სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოები.

იმავე პერიოდში იმპორტი იაპონიიდან საქართველოში გაიზარდა 14%-ით და \$183 მლნ შეადგინა. იმპორტის ზრდა განპირობებულია, ძირითადად, შემდეგ პროდუქციაზე იმპორტის მატებით: მსუბუქი ავტომობილები - \$164 მლნ, საბურავები (ახალი) - \$3,9 მლნ, საბურავები (მეორადი) - \$2,2 მილიონი, სამედიცინო ხელსაწყოები - \$2,2 მილიონი, სატვირთო ავტომობილები - \$2 მილიონი.

საქართველოში მომუშავე იაპონურ კომპანიებს შორის, რომლებიც საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში არიან ჩართული, აღსანიშნავია შპს „Toyota კავკასია“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ავტომობილების მწარმოებელი კომპანიის Toyota-ს წარმომადგენლობაა და ერთდროულად ემსახურება საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. „Toyota კავკასია“ 2006 წელს დაარსდა და მისი ჯამური ინვესტიცია 10 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ის ყოველწლიურად ათეულობით მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ავტომობილების ექსპორტს ეწევა რეგიონში.

## **პერსპექტივები**

**ინოვაციები და ტექნოლოგიები.** იაპონიას, როგორც ტექნოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყანას მსოფლიოში, აქვს უზარმაზარი პოტენციალი გაუზიაროს საქართველოს საკუთარი გამოცდილება და ამასთან ერთად ხელი შეუწყოს საქართველოს სტარტაპეკოსისტემის განვითარებას. თავის მხრივ, ქართული სტარტაპები შესაძლოა გახდეს დაინტერესების სფერო იაპონელი ინვესტორებისათვის.

იაპონიას შეუძლია საქართველოს მხარდაჭერა იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლებიც უკავშირდება პარტნიორების მოძიებას, თანამედროვე გამოცდილებას, კომპეტენციებს, კონტაქტებს (Charaia, Chochia and Lashkhi, 2021), ფინანსური რესურსების მოძიებას ტრადიციული და ალტერნატიული Fintech ტექნოლოგიების გამოყენებით (Charaia and Lashkhi, 2021). შესაძლებელია, იაპონიის წამყვანი ლაბორატორიების, ინკუბატორებისა და აქსელერატორის პროგრამებში

ჩართვა, როგორცაა: Tokyo Metropolitan Government Accelerator, MUFG FinTech Accelerator, NTT Data Open Innovation Contest და სხვა.

**უვიზო მიმოსვლა.** ბიზნესის, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა ტიპის აქტიურობების გარდა, რომლისთვისაც შეიძლება უვიზო/ოპერატიული მიმოსვლა იყოს ხელსაყრელი, გასათვალისწინებელია ტურიზმის ორივე მიმართულებით არსებული პოტენციალიც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველო არ წარმოადგენს იაპონელი ვიზიტორების დაინტერესების განსაკუთრებულ ადგილს, რაზეც ბოლო 10 წელიწადში იაპონელების მიერ საქართველოში ჯამში განხორციელებული, სულ რაღაც, 50 ათასი ვიზიტი მეტყველებს, საიდანაც ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა – 9 413 – 2019 წელზე მოდის (GNTA, 2022). ამასთან, საქართველოს ყველანაირი პერსპექტივა აქვს იაპონელი ინვესტორების დასაინტერესებლად. იაპონელი ვიზიტორები კი, როგორც წესი, მაღალ მხარჯველ სეგმენტს განეკუთვნებიან, რაც საქართველოსთვის მეტად საინტერესოა.

**თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.** 2018 წელს ქართული მხარე დაინტერესდა, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის დაწყებულიყო მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გასაფორმებლად და ამის შესახებ თბილისში სტუმრად მყოფ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს აუწყა. საქართველოსა და იაპონიას შორის თავისუფალი რეჟიმის დამყარება შექმნის ახალ შესაძლებლობებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებისა და გაღრმავების კუთხით, რაც დამატებით წაახალისებს ბიზნესის წარმომადგენლებს. თუმცა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულის შესახებ მოლაპარაკებები იაპონიის მხრიდან ჯერ ოფიციალურად არ განიხილება.

ცნობისთვის, ამ ეტაპზე იაპონიას გააჩნია ვაჭრობის სხვადასხვა ხელშეკრულებები 20 ქვეყანასა თუ გაერთიანებასთან, მათ შორის არიან: აშშ, შვეიცარია, ევროკავშირი და ბრიტანეთი. მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთთან (MoFAoJ, 2022).

ქართულ-იაპონური თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, გარდა უშუალოდ ამ ქვეყნების დაინტერესებისა, შესაძლებელია მეტი დაინტერესება მოჰყვეს იაპონელი ინვესტორების მხრიდან ევროკავშირის ბაზარზე გამარტივებული შესვლის თვალსაზრისით, სადაც საქართველოს შეეძლო შედარებით დაბალი წარმოების დანახარჯებით ევროკავშირზე გამიზნული იაპონური პროდუქციის წარმოება.

თავის მხრივ, მეტი ქართულ-იაპონური ეკონომიკური ურთიერთობები და ბიზნესპროექტები გაზრდიდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელსაც ორ ქვეყანას შორის. ცნობისთვის, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოდან იაპონიაში გადარიცხა 200 ათას აშშ დოლარზე ნაკლები, ხოლო იაპონიიდან საქართველოში შედარებით მეტი - \$3,6 მლნ. ორივე შემთხვევაში რიცხვები საკმაოდ სიმბოლურია, თუ გავითვალისწინებთ ყოველწლიურად საქართველოში ფულადი გზავნილების რამდენიმე მილიარდიან ნაკადს (NBG, 2022).

**პირდაპირი რეგულარული საჰაერო მიმოსვლა.** საქართველოსა და იაპონიას შორის არ არსებობს შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ. 2009 წელს ქართულმა მხარემ შეიმუშავა „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების პროექტი, რომელიც ეფუძნებოდა ლიბერალურ პრინციპებს. ამ შეთანხმების პროექტის მიხედვით, ავიაკომპანიებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ ტარიფები, ხოლო ტევადობა და სიხშირე დამოკიდებული იქნება იმ პერიოდისათვის საავიაციო ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე. საჰაერო მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ პუნქტებს შორის, საიდანაც ამის განხორციელება შეიძლება. შეთანხმების პროექტი იაპონიაში გადაიგზავნა 2010 წელს, დიპლომატიური არხების მეშვეობით, თუმცა დღემდე არ შესრულებულა. ცნობისთვის, 2018 წელს საქართველოს ეწვია Japan Airline-ის წარმომადგენლობა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და იაპონიას შორის პირდაპირი რეგულარული და ჩარტერული ავიარეისების განხორციელების შესაძლებლობების შესწავლას. საკითხს შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია.

**ანაკლიის ღრმანყოფიანი პორტი.** ანაკლიის პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით \$2,5 მლრდ-ს შეადგენს, საიდანაც 600 მილიონი ინვესტირებული უნდა იყოს პირველი ფაზის მშენებლობისას (გამტარუნარიანობა იქნება 8 მლნ ტონა). სახელმწიფოს ექნება მნიშვნელოვანი თანამონაწილეობა პროექტში. კერძოდ, მთავრობა ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადასცემს 1000 ჰექტარ მიწის ნაკვეთს; ინვესტორს გადასცემს უკვე მომზადებულ ტექნიკურ და ეკონომიკურ კვლევებს; უზრუნველყოფს პორტთან დამაკავშირებელი გზისა და რკინიგზის მშენებლობას (სავარაუდო ღირებულება 330 მლნ ლარი); უზრუნველყოფს პორტის მიმდებარე ტერიტორიისთვის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსის მინიჭებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე განიხილავს ინვესტორისთვის 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობით სუბსიდირებული სესხის მიცემის საკითხს. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო ტერიტორიაზე უკვე შესრულებულია მიწის, ასევე, წინასწარი ფსკერდაღრმავების სამუშაოები (ამოღებულია 5 მლნ კუბური მეტრის მოცულობის ინერტული მასალა), რაც შეამცირებს ახალი ინვესტორის მიერ გასაწევ კაპიტალურ ხარჯებს.

ანაკლიის ნავსადგურს ექნება: 1. სტრატეგიული მდებარეობა; 2. შესაძლებლობა მიიღოს დიდი ზომის გემები (მაგალითად, პანამაქსი); 3. მომსახურების მიღება „ერთი გაჩერების“ პრინციპით; 4. სწრაფი და მარტივი პროცედურები; 5. წლის ნებისმიერ პერიოდში უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობა.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს: ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას; ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას; საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ზრდას; საქართველოს ტერიტორიის გავლით

ახალი ტვირთნაკადების მოზიდვას; პორტის მიმდებარედ წარმოებისა და ლოგისტიკური სერვისების განვითარებას.

ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ირკვევა, თუ რამდენად მასშტაბური პროექტია ანაკლიის ღრმანყოფილვანი პორტი, რომელსაც არა მხოლოდ ფინანსურად ძლიერი, არამედ კონტაქტებით მდიდარი და ტვირთების მოზიდვის უნარით გამორჩეული ინვესტორი ესაჭიროება. იაპონურ მხარეს აქვს ყველა საჭირო გამოცდილება და შესაძლებლობა ამ პროექტის განსახორციელებლად, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით.

დაბოლოს, ჩვენს სტატიაში წარმოდგენილია საქართველოსა და იაპონიას შორის ეკონომიკური პარტნიორობის ზოგიერთი პერსპექტივა, რაც, რა თქმა უნდა, სხვა შესაძლებლობებსაც არ გამოორიცხავს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Agenda. 2018. "Japan Gifts 96 Hybrid and Electric Cars to Georgia's Interior Ministry." *Agenda.ge*, February 2, 2018. <https://agenda.ge/en/news/2018/240>.
- Agenda. 2020. "Japanese Energy Company TEPCO Invests in Georgian Dariali Hydropower Project." *Agenda.ge*, May 2, 2020. <https://agenda.ge/en/news/2020/1382>.
- Agenda. 2021. "Double Taxation Deal between Georgia and Japan Comes into Force." *Agenda.ge*, July 26, 2021. <https://agenda.ge/en/news/2021/2110>.
- Charaia, Vakhtang; Archil Chochia and Mariam Lashkhi. 2021. "Promoting Fintech Financing for SME in S. Caucasian and Baltic States During the COVID-19 Global Pandemic." *Business, Management and Economics Engineering*, 19 (2): 358–372. DOI: <https://doi.org/10.3846/bmee.2021.14755>. <https://journals.vgtu.lt/index.php/BME/article/view/14755/10873>.
- Charaia, Vakhtang and Mariam Lashkhi. 2021. "SME Sector Development through Fintech in Georgia." *Globalization and Business*, (12): 179-185. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.025>.
- Charaia, Vakhtang and Vladimer Papava. 2021. "Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries." *Journal of Contemporary Issues in Business and Government* 27 (3): 18–27. DOI: 10.47750/cibg.2021.27.03.003. [https://www.cibgp.com/pdf\\_10671\\_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html](https://www.cibgp.com/pdf_10671_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html).
- EG. 2020. "The Largest Japanese Investment in Georgia." *Enterprise Georgia*, May 2, 2020. <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/en/News/the-largest-japanese-investmen>.
- EoJiG. 2022. "Grant Assistance for Grassroots Projects (Grassroots Human Security and Grassroots Cultural Projects)." Embassy of Japan in Georgia, 2022. <https://www.ge.emb-japan.go.jp/english/economic%20assistance.html>.
- GNTA. 2022. "International Travel (Residence)." Georgian National Tourism Administration, January 2022. <https://gnta.ge/statistics/>.
- Harris, Peter. 2021. "The Japan-Georgia Bilateral Investment Treaty." *Clifford Chance*, February 4, 2021. <https://www.cliffordchance.com/briefings/2021/02/the-japan-georgia-bilateral-investment-treaty.html>.
- Hoshi, Takeo. 2006. "Economics of the Living Dead." *The Japanese Economic Review* 57 (1): 30-49. <https://doi.org/10.1111/j.1468-5876.2006.00354.x>.
- Jacobs, Frank. 2022. "Debt-to-GDP Ratio: No Country Owes More than Japan." *Big Think*, February 9, 2022. <https://bigthink.com/strange-maps/debt-to-gdp-ratio/>.
- JICA. 2016. "JICA's Grant Aid in Georgia. The Project for Introduction of Clean Energy by Solar Electricity Generation System." Japan International Cooperation Agency, July, 2016. <https://www.jica.go.jp/georgia/english/office/topics/160730.html>.
- JICA. 2021. "Georgia." Japan International Cooperation Agency, December, 2021. <https://www.jica.go.jp/georgia/english/index.html>.

- Kane, Edward J. 2000. "Capital Movements, Banking Insolvency and Silent Runs in the Asian Financial Crisis." *Pacific-Basin Finance Journal* 8 (2): 153-175.  
[https://doi.org/10.1016/S0927-538X\(00\)00009-3](https://doi.org/10.1016/S0927-538X(00)00009-3).
- MoESDoG. 2021. "Georgia–Japan Investment Agreement Signed." Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, January 29, 2021.  
<http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1621&lang=en>.
- MoESDoG. 2019. "Georgia as a Gateway to Europe and Asia." Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, December, 2019.  
[https://www.chicagomanualofstyle.org/tools\\_citationguide/citation-guide-2.html](https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-2.html).
- MoFoG. 2022. "External Public Debt of Georgia." Ministry of Finance of Georgia, January 2022. <https://www.mof.ge/images/File/sagvalebi/2022/11-02-2022/External%20Debt-1-2022%20GE-EN.pdf>.
- MoFAoJ. 2018. "White Paper on Development Cooperation 2017. Central Asia and Caucasus." Ministry of Foreign Affairs of Japan, October 9, 2018.  
[https://www.mofa.go.jp/policy/oda/page22e\\_000860.html](https://www.mofa.go.jp/policy/oda/page22e_000860.html);  
<https://www.mofa.go.jp/files/000406644.pdf>.
- MoFAoJ. 2021. "Signing of the Tax Convention between Japan and Georgia." Ministry of Foreign Affairs of Japan, January 29, 2021.  
[https://www.mofa.go.jp/press/release/press4e\\_002968.html](https://www.mofa.go.jp/press/release/press4e_002968.html).
- MoFAoJ. 2022. "Free Trade Agreement (FTA)/Economic Partnership Agreement (EPA) and Related Initiatives." Ministry of Foreign Affairs of Japan, January 21, 2022.  
<https://www.mofa.go.jp/policy/economy/fta/index.html>.
- NBG. 2022. "Money Transfers." National Bank of Georgia, January, 2022.  
[https://analytics.nbg.gov.ge/views/Money\\_Transfers\\_GE/sheet0?iframeSize\\_dToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay\\_count=no&%3AshowVizHome=no](https://analytics.nbg.gov.ge/views/Money_Transfers_GE/sheet0?iframeSize_dToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no).
- Papava, Vladimer. 2020. "Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 14 (3): 128-134.
- Papava, Vladimer. 2021. *The Threat of the Formation of a Post-pandemic Zombie Economy and the Legal Capacity of Bankruptcy Mechanisms*. GFSIS Expert Opinion No. 170. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies.  
<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/170-expert-opinion-eng.pdf>.
- Papava, Vladimer. 2022. "The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World." *Eurasia Review*, February 7, 2022.  
<https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/?fbclid=IwAR1GA4IrKY8hc3No1DDsrw6fx271vinRPGYScR4IC3L4MP3hDPaYmVilrQA>.
- Papava, Vladimer, and Vakhtang Charaia. 2020. *The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 136. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies.  
<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>.

- Papava, Vladimer, and Vakhtang Charaia. 2021. *The Problem of the Growth of Georgia's Public Debt During the Economic Crisis Under the Covid-19 Pandemic*. GFSIS Expert Opinion No. 152. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/152-expert-opinion-eng.pdf>.
- Schwab, Klaus, ed. 2019. *The Global Competitiveness Report 2019*. Cologny/Geneva: World Economic Forum. [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf).
- Statista. n.d. "Japan: Inflation Rate from 1986 to 2026." Accessed February 22. <https://www.statista.com/statistics/270095/inflation-rate-in-japan/>.
- Stiglitz, Joseph E. 2020. "Priorities for the COVID-19 Economy." *Project Syndicate*, July 1, 2020. [https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=67133fbc7b-covid\\_newsletter\\_02\\_07\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc\\_cid=67133fbc7b&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b-covid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0).
- UNCTAD. 2021. "Agreement between Japan and Georgia for the Liberalization, Promotion and Protection of Investment." *Investment Policy*, 2021. <https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/treaty-files/6078/download>.
- WPR. 2020. "GDP Ranked by Country 2022." *World Population Review*, 2020. <https://worldpopulationreview.com/countries/countries-by-gdp>.
- Zingales, Luigi. 2021. "Attack of the COVID Zombies." *Project Syndicate*, July 2, 2021. [https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=df914751a4-sunday\\_newsletter\\_07\\_04\\_2021&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc\\_cid=df914751a4&mc\\_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=df914751a4-sunday_newsletter_07_04_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc_cid=df914751a4&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog).